



თელავის მუნიციპალიტეტის  
საკრებულო

დადგენილება

ქ. თელავი

N 23  
28/06/2019

23-09-4-201906281858



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №71  
დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა  
და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის  
თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის  
მე-4 პუნქტის შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.** შეტანილ იქნეს ცვლილება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018  
წლის 28 დეკემბრის №71 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში  
განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების  
შესახებ“ ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 08/01/2019, 010250050.35.163.016449).

1. დადგენილებით დამტკიცებული დანართის „თელავის მუნიციპალიტეტში  
განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამა“ მე-4 მუხლის  
მე-6 პუნქტის მე-6 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„6. ზამთრის სეზონზე ოჯახების სათბობით უზრუნველყოფის დაფინანსების ქვეპრო  
გრამა:**

სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში თელავის  
მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების, რომელთა  
სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს, ზამთრის სეზონზე სათბობით  
(ბუნებრივი აირი, ელექტროენერგია, შეშა) უზრუნველსაყოფად დაფინანსების  
გაცემა მოხდება ყოველი წლის აგვისტოს თვიდან დეკემბრის ჩათვლით. თანხა  
ჩაირიცხება დახმარების მიმღების საბანკო ანგარიშის ნომერზე. დაფინანსება გაიცემა  
წლის განმავლობაში ერთჯერადად, ყოველ ოჯახზე 100 ლარის ოდენობით.

ა) ქვეპროგრამით სარგებლობისათვის წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

ა.ა) განცხადება;


ა.ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

ა.გ) ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან ოჯახის სარეიტინგო ქულის შესახებ;

ა.დ) საბანკო ანგარიშის ნომერი.

**მუხლი 2.** დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

არჩილ თხლაშიძე



საკრებულოს თავმჯდომარე  
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

